3.3. The insurance is valid if the first or single (full) insurance premium is paid and the Policy is issued.

3.4. In case of single payment of the insurance premium – premium shall be paid immediately after signing the Agreement/Policy. In case of automatic extension of insurance, the Policyholder pays the annual (12 months) premium in advance at least 14 (fourteen) days before the start of the insurance period.

- ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების/პოლისის გაფორმებისთანავე, არაუგვიანეს სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე, ხოლო მომდევნო გადახდები ხორციელდება ყოველ მომდევნო თვეს პოლისში მითითებულ თარიღებში, შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.
- 3.6.** სადაზღვევო პრემიის გადახდისას საგადახდო დავალებაში უნდა მიეთითოს პოლისის ნომერი. საგადახდო დავალებაში პოლისის ნომრის მიუთითებლობის შედეგებზე სრულად პასუხისმგებელია დამზღვევი.
- 3.7.** დამზღვევის მიერ სადაზღვევო შენატანის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი წერილობით განუსაზღვრავს დამზღვევს გადახდის ორკვირიან ვადას, რომლის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისგან. სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის მოქმედება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ, დავალიანების გადახდის დღის 24.00 საათზე დავალიანების დაფარვის შემდგომ.
- 3.8.** თუ დამზღვევმა დაარღვია პრემიის შეტანის ვალდებულება, მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადის განსაზღვრისას გააფრთხილოს დამზღვევი და დადგენილი ორკვირიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ დამატებით ორი კვირის ვადაში მოშალოს ხელშეკრულება დამატებითი გაფრთხილების გარეშე და მოსთხოვოს დამზღვევს როგორც დარიცხული დავალიანება, ასევე, დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.
- 3.9.** ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული პოლისების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.
- 3.10.** მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ხელშეკრულების 3.8. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ, მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ, მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა, ამავე დროს მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი მხარეთა ურთიერთობის აღდგენამდე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაზე.
- 3.11.** პრემიის პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 3.12.** ხელშეკრულების 3.8. პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ორკვირიანი ვადის განსაზღვრის ვალდებულება მზღვეველს არ წარმოეშვება პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შენატანის დამზღვევის მიერ დროულად გადახდამდე და ამასთანავე, მზღვეველი თავისუფალია ხელშეკრულებით
- 3.5.** When paying the insurance premium in installments, the first payment of the insurance premium is made immediately after signing the Agreement/Policy, no later than 14 (fourteen) days before the start of the insurance period, and subsequent payments are made every month on the dates indicated in the Policy, in accordance with the agreed payment schedule.
- 3.6.** When paying the insurance premium, the Policy number must be indicated in the payment order. The Policyholder is fully responsible for the consequences of indicating the Policy number in the payment order.
- 3.7.** In case of breach of the insurance premium payment obligation by the Policyholder, the Insurer shall define a two-week payment period in writing to the Insurer, after which the Insurer shall be released from its obligations. The validity of the insurance Agreement/Policy will be renewed only after the payment of the premium by the Policyholder, at 24.00 on the day of payment, after the repayment of the obligation.
- 3.8.** If the Policyholder has violated the obligation to pay the Premium, the Insurer can, upon determining the two-week term for payment of the insurance premium, warn the Policyholder, and after the two-week period expires without result, terminate the Agreement without additional notice and demand from the Policyholder both the accrued debt and the liquidated damages provided for in the insurance Agreement/Policy.
- 3.9.** Suspension of the Agreement and the Policies issued based on it does not release the Policyholder from the obligation to pay the insurance premium.
- 3.10.** After the expiration of the 2 (two) week period determined by the Insurer to the Policyholder in accordance with the clause 3.8. of the Agreement, the Insurer shall be released from fulfilling the obligation under the Agreement. After the restoration of the payment schedule and the payment of the premium, the relationship between the parties will continue in accordance with the Agreement, however, at the same time, the Insurer will not be responsible for the remuneration of insured events that occurred before the restoration of the relationship between the parties.
- 3.11.** Before the payment of the first installment of the Premium, the Insurer is exempted from fulfilling the obligations stipulated in the Agreement, which at the same time does not exempt the Policyholder from fulfilling the obligations stipulated in the Agreement.
- 3.12.** The Insurer is not obligated to determine the two-week payment period provided for in the clause 3.8 of the Agreement the first or single insurance premium is paid on time by the Policyholder, and at the same time, the Insurer is

გათვალისწინებული თავისი მოვალეობების შესრულებისაგან.

free from fulfilling its obligations under the Agreement.

4. დაზღვევის დაწყება და მისი პერიოდი

- 4.1.** ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი წლის ვადით, მისი 5 წლამდე პერიოდით ავტომატური გაგრძელების პირობით. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება პოლისით.
- 4.2.** ხელშეკრულების 5 წლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, მზღვეველის მიერ ხელშეკრულების განახლებისას შეიძლება შეიცვალოს დაზღვევის პირობები, რომლის შესახებაც დამზღვევეს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება და საშუალება ეძლევა უარი თქვას განახლებული პირობებით ხელშეკრულების გაგრძელებაზე.
- 4.3.** ხელშეკრულების 5 წლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დაზღვევის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 12 (თორმეტი) თვით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა მისი შეწყვეტის სურვილი. განახლებული პირობები დამზღვევეს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS) მიმდინარე პერიოდის გასვლამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.
- 4.4.** ხელშეკრულების 4.3. პუნქტით განსაზღვრული წესი ვრცელდება 5 წლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ ყოველ ჯერზე დაზღვევის ავტომატური განახლებისას.
- 4.5.** დაზღვევა მხარეთა დამატებითი შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა ავტომატურად შეწყდება იმ სადაზღვევო წლის ამოწურვისას, როცა დაზღვეული გახდება 80 წლის ასაკის.
- 4.6.** დაზღვევა ძალაში შედის პოლისში მითითებული დაზღვევის ძალაში შესვლის დღის 00:00 სთ-ზე, იმ პირობით, რომ დამზღვევის/დაზღვეულის მიერ გადახდილი იქნება პრემიის პოლისით დადგენილი პირველი შენატანი ან ერთჯერადი პრემიისას პრემია სრულად. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება პოლისში მითითებულ დაზღვევის დასრულების თარიღის 24:00 სთ-ზე.

4. START OF INSURANCE AND ITS PERIOD

- 4.1.** The Agreement is signed for a period of one year, subject to its automatic extension for a period of up to 5 years. The insurance period is determined by the Policy.
- 4.2.** After the expiration of the 5-year period of the Agreement, the insurance conditions may be changed by the Insurer when renewing the Agreement, about which the Policyholder receives a notification and is given the opportunity to refuse to continue the Agreement under the revised conditions.
- 4.3.** After the expiration of the 5-year period of the Agreement, the insurance validity period will automatically be extended for 12 (twelve) months, in the event that one of the parties has not expressed their desire to terminate it in writing. The updated terms and conditions will be notified to the Policyholder through a short text message (SMS) at least 1 (one) month before the end of the current period.
- 4.4.** The rule specified in the clause 4.3. of the Agreement applies to the automatic renewal of the insurance every time after the end of the 5-year period.
- 4.5.** The insurance can be extended by additional agreement of the parties, but it will be automatically terminated at the end of the insurance year when the Insured reaches the age of 80.
- 4.6.** The insurance comes into force at 00:00 on the effective day of the insurance specified in the Policy, provided that the first installment established by the policy or the premium in the case of a single payment is paid in full by the Policyholder/Insured. The validity of the insurance Agreement will be terminated at 24:00 on the insurance end date specified in the Policy.

5. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას

- 5.1.** პირი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე დიაგნოსტირებული/დადგენილი აქვს ერთ-ერთი შემდეგი დაავადება ან/და იმყოფება დიაგნოსტირების ან მკურნალობის პროცესში:
 - 1) სიმსივნე, კიბო, ლეიკემია, ლიმფომა, კანის პათოლოგიური ცვლილება ან ხალხის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც ახლავს სისხლდენა, ტკივილი, ფერის შეცვლა ან ზომის მომატება.
 - 2) მსხვილი ნაწლავის პოლიპოზი, ნაწლავის ანთეზა (კრონის დაავადება ან წყლულოვანი კოლიტი), თირკმლის პოლიკისტოზი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებები, აზბესტოზი, B, C, D, E ფორმის ჰეპატიტი, ან ღვიძლის ციროზის რომელიმე ფორმა.
- 5.2.** 74 წელზე მეტი ასაკის პირი პირველად დაზღვევისას ან 84 წელზე მეტი ასაკის პირი დაზღვევის უწყვეტად განახლების შემთხვევაში.
- 5.3.** პირი, რომელიც უკვე დაზღვეულია ინდივიდუალური ან საოჯახო ონკო ქვართით, ორმაგი

5. PERSONS - NOT SUBJECT TO INSURANCE

- 5.1.** A person who, before signing the insurance Agreement, has been diagnosed with/established one of the following diseases and/or is in the process of being diagnosed or treated:
 - 1) tumor, cancer, leukemia, lymphoma, pathological skin changes or any form of moles accompanied by bleeding, pain, color change or increase in size.
 - 2) Colonic polyposis, intestinal inflammation (Crohn's disease or ulcerative colitis), polycystic kidney disease, benign breast disease, asbestosis, hepatitis B, C, D, E, any form of liver cirrhosis.
- 5.2.** A person above 74 years of age when Insured for the first time or person above 84 years of age in case of continuous renewal of insurance.

დაზღვევის შემთხვევაში ვალდებულია გააუქმოს ერთ-ერთი დაზღვევა ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მხოლოდ ერთი პოლისის ფარგლებში ანაზღაურება (მიუხედავად იმისა, გადახდილი აქვს თუ არა რამდენიმე პოლისის პრემია)

6. მოცდის პერიოდი

- 6.1.** ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის მოცდის პერიოდი არის ექვსი თვე.
- 6.2.** მოცდის პერიოდი დაიწყება დაზღვევის ხელშეკრულების 4.6. პუნქტით დადგენილი წესით დაზღვევის ძალაში შესვლის დღეს.
- 6.3.** მზღვევლის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება ან მისი რამე ნაწილი, არ ამოქმედდება, თუ დაზღვეულს დაუდგინდება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება მოცდის პერიოდის განმავლობაში.
- 6.4.** მოცდის პერიოდი არ შეეხება იმ პირებს, რომლებსაც აქვთ დაზღვევის უწყვეტი დაფარვა, ანუ იმ პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაზღვეულის სტატუსი დაზღვევის წინა პოლისით და/ან რომელთა მოცდის პერიოდი უკვე ამოიწურა წინა დაფარვისას (პოლისი და/ან პოლისის დანართი).
- 6.5.** დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ხელახალი დაზღვევისას მოცდის პერიოდის ათვლა ხდება თავიდან.
- 6.6.** სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე საოჯახო პაკეტში პირის დამატების ან/და საოჯახო პაკეტის ნებისმიერი ცვლილება არ ხდება.
- 6.7.** თუ დამზღვევი მოითხოვს სადაზღვევო ლიმიტის ცვლილებას და მზღვეველი ეთანხმება ლიმიტის ზრდას, მაშინ სადაზღვევო პოლისზე მოცდის პერიოდის ათვლა დაიწყება თავიდან (განახლებული ლიმიტის ძალაში შესვლის დღის 00:00 საათზე).

7. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა

- 7.1.** დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.
- 7.2.** დამზღვევის მიერ ხელშეკრულების/პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ან დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, დამზღვევი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს 2 (ორი) თვის პრემიას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი ხელშეკრულებას წვეტს დაზღვევის გაფორმების თარიღიდან პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში და ამავე დროს არავის უსარგებლია დაზღვევით, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის იხდის 3 (სამი) თვის პრემიას.
- 7.3.** მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში იგი ვალდებულია დამზღვევს წერილობით შეატყობინოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.

5.3. A person who is already Insured with individual or family oncocare, in the case of double insurance, is obliged to cancel one of the insurances or, in the event of an insured event, request remuneration under only one policy (regardless of whether he/she has paid premiums for several policies).

6. WAITING PERIOD

- 6.1.** The waiting period for an insurance event provided for in the Agreement is six months.
- 6.2.** The waiting period will begin on the date of entry into force of the insurance in accordance with the clause 4.6. of the Agreement.
- 6.3.** The Insurer's obligation to pay the insurance indemnity or any part thereof shall not be triggered if the Insured is diagnosed with a malignant tumor during the waiting period.
- 6.4.** The waiting period does not apply to those persons who have continuous insurance coverage, that is, those persons who have obtained the status of the Insured under the previous insurance policy and/or whose waiting period has already expired in the previous coverage (policy and/or policy addendum).
- 6.5.** After termination of the Insurance Agreement, the waiting period for re-insurance is calculated from the beginning.
- 6.6.** Before the expiry of the insurance period, the addition of a person to the family package and/or any changes to the family package are not allowed.
- 6.7.** If the Policyholder requests a change in the insurance limit and the Insurer agrees to increase the limit, then the waiting period for the insurance policy will start from the beginning (at 00:00 on the day of the effective date of the updated limit).

7. TERMINATION OF THE INSURANCE CONTRACT

- 7.1.** In case of early termination of the Agreement by the Policyholder, the Policyholder is obliged to notify the Insurer in writing about the termination of the Agreement at least 1 (one) month in advance.
- 7.2.** In the case of early termination of the Agreement/Policy by the Policyholder or early termination of the Agreement by the Insurer due to non-payment of the insurance premium, the Policyholder is obliged to pay an additional 2 (two) months premium, and in the event that the Policyholder terminates the Agreement within the first 3 (three) months from the date of signing the insurance and at the same time nobody took advantage of the insurance, he/she pays 3 (three) months premium for the moment of termination of the Agreement.
- 7.3.** In case of premature termination of the insurance Agreement by the Insurer, it is obliged to notify the Policyholder in writing about the termination of the Agreement at least 1 (one) month in advance.

7.4. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მზღვეველის მიერ ხელშეკრულების მოშლა ხდება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო, იგი ვალდებულია დამზღვევს დაუბრუნოს წინსწრებით გადახდილი პრემიის 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის შესაბამისი გამოუმუშავებელი ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულს არ უსარგებლია დაზღვევით.

7.5. დაზღვევა ვადაზე ავტომატურად შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

- 7.5.1.** სადაზღვევო თანხის ამოწურვისას;
- 7.5.2.** დაზღვეულის ან/და მისი დამზღვევის შვილის/შობლის/მეულის გარდაცვალება;
- 7.5.3.** იმ სადაზღვევო წლის დასრულებისას, როცა დაზღვეული მიაღწევს 80 წლის ასაკს;
- 7.5.4.** დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზღვევის გაუქმებისას ან/და დასრულებისას;
- 7.5.5.** ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. ხელშეკრულებაზე უარის თქმა

8.1. დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებით გადასახადის გარეშე, მზღვეველისთვის დანართი #1-ით განსაზღვრული „დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის“ მზღვეველის იურიდიულ მისამართზე გაგზავნის ან მზღვეველის ფილიალებში ფიზიკურად მიწოდების გზით.

8.2. თუ დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველს არ გაუგზავნის მოთხოვნას დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით.

8.3. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრული უფლების არსებობა, არ ათავისუფლებს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებისგან.

8.4. თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა მზღვეველთან ან/და პროვაიდერ კლინიკასთან, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება, მაშინ შესაბამისი მომსახურების მიღებით დამზღვევი/დაზღვეული კარგავს ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.

9. სადაზღვევო დაფარვა და სადაზღვევო შემთხვევა

9.1. თუ დაზღვეულს დაუდგინდება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება დაზღვევის პერიოდში

7.4. In case of premature termination of the insurance Agreement by the Insurer (except for the cases when the contract is terminated by the insurer due to the violation of any condition of the contract by the insurer/insured), it is obliged to return to the insurer the unearned part of the premium paid in advance, corresponding to the period of 12 (twelve) months, if any, only in case the insured has not benefited from the insurance.

7.5. The insurance will be automatically terminated before the term in the following cases:

- 7.5.1.** upon exhaustion of the insurance amount;
- 7.5.2.** death of the Insured and/or Policyholder's child/parent/spouse;
- 7.5.3.** at the end of the insurance year when the Insured reaches the age of 80;
- 7.5.4.** upon cancellation and/or termination of the Insured's health insurance;
- 7.5.5.** in other cases established by the Agreement (if any).

8. REFUSAL OF THE AGREEMENT

8.1. The Policyholder/Insured has the right to refuse the Agreement within 14 (fourteen) days after signing it, without any penalty or additional tax, by sending to the Insurer the "Application for refusal of the Insurance Agreement" specified in Appendix #1 to the Insurer's legal address or by physically delivering it to the Insurer's branches.

8.2. If the Policyholder/Insured does not send a request to the Insurer on the refusal of the insurance Agreement, then the Policyholder/Insured is entitled to enjoy the rights established by the Agreement after 14 (fourteen) days have passed from the signing of the Agreement.

8.3. Existence of the right specified in the clause 8.1. of the Agreement does not release the Policyholder/Insured from the obligation to pay the insurance premium in accordance with the terms of the Agreement.

8.4. If the Policyholder/Insured, prior to the expiration of the right to refuse of the Agreement, directly and clearly requested from the Insurer and/or the provider clinic, taking into account the terms of the Insurance Agreement, to receive services, then by receiving the corresponding service, the Policyholder/Insured loses the right to refuse from the Agreement specified in clause 8.1. of the Agreement.

9. INSURANCE COVERAGE AND INSURANCE EVENT

- მზღვეველი ერთჯერადად გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო ხელშეკრულებით/პოლისით დადგენილი ოდენობითა და წესით.
- 9.2.** სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას ირჩევს დაზღვეული, რომელიც განისაზღვრება პოლისით.
- 9.3.** სადაზღვევო თანხა დაზღვეულზე, დამზღვევის მეუღლეზე და შვილზე შეადგენს პოლისით განსაზღვრული საოჯახო ლიმიტის (სადაზღვევო თანხის) 100%-ს, ხოლო დამზღვევის მშობლის შემთხვევაში საოჯახო ლიმიტის 50%-ს.
- 9.4.** სადაზღვევო შემთხვევად ჩაითვლება დაზღვეულისთვის ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების პირველად დიაგნოსტიკა დაზღვევის პერიოდის განმავლობაში.
- 9.5.** ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზი დასმული უნდა იქნეს შესაბამისი სპეციალობის სერტიფიცირებული მკურნალი ექიმის მიერ.
- 9.6.** სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკა წინამდებარე პირობების მე-6 მუხლში მოხსენიებული მოცდის პერიოდის განმავლობაში.
- 9.7.** დაზღვევა დაფარავს ინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების ყველა ფორმას, რომელიც შედის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) მე-10 გამოცემის C00–C97 კოდებში, მათ შორის ლეიკემიის, ავთვისებიანი ლიმფომის, კანის ლიმფომის, ჰოჯკინის დაავადების, ძვლის ტვინის ავთვისებიანი ცვლილებების და სარკომის ჩათვლით, გარდა C44 კოდისა (კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები, გარდა მელანომისა). (ICD-10-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: <http://classifications.moh.gov.ge>)
- 9.8.** ინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზი უნდა დადასტურდეს, მათ შორის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე.
- 9.9.** სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკა, რომელიც წარმოადგენს დაზღვევამდე ან მოცდის პერიოდში დიაგნოსტიკური დაავადების პირდაპირ გართულებას ან მის მალიგნიზაციას.
- 9.10.** სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად საოჯახო პაკეტის ფარგლებში მზღვეველი გასცემს მხოლოდ საოჯახო ლიმიტის მაქსიმუმ 100%-ს ერთჯერადად. მშობლის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გაიცემა საოჯახო ლიმიტის 50%, ხოლო დაზღვევა გრძელდება სადაზღვევო თანხის სრულად ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში დაზღვევა უქმდება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომლის სადაზღვევო შემთხვევისთვისაც გაიცა სადაზღვევო თანხა (ან მისი ნაწილი).
- 9.11.** დაზღვევის პირველ წელს ნებისმიერ დაზღვეულზე, მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გაიცემა საოჯახო ლიმიტების 50%, ხოლო უწყვეტი დაზღვევის შემდეგი წლიდან სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა თითოეული დაზღვეულის ლიმიტის ფარგლებში.
- 9.1.** If the insured is diagnosed with a malignant tumor disease during the insurance period, the Insurer will issue a one-time insurance remuneration in the amount and manner established by the insurance Agreement/Policy.
- 9.2.** The amount of insurance remunerations is chosen by the Policyholder, which is determined by the Policy.
- 9.3.** The insurance amount for the Insured, Policyholder's spouse and child is 100% of the family limit (insurance amount) as determined by the policy, and in the case of the Policyholder's parent - 50% of the family limit.
- 9.4.** The first diagnosis of a malignant tumor disease for the Insured during the insurance period shall be considered as an insured event.
- 9.5.** Malignant tumor disease must be diagnosed by a certified treating physician of the relevant specialty.
- 9.6.** Diagnosing a malignant tumor disease during the waiting period referred to in Article 6 of the Agreement shall not be considered as an insured event.
- 9.7.** The insurance will cover all forms of invasive malignant tumor disease included in the International Classification of Diseases (ICD-10) 10th edition codes C00-C97, including leukemia, malignant lymphoma, skin lymphoma, Hodgkin's disease, bone marrow malignancies and sarcoma, except C44 code (other malignant tumors of the skin, except for melanoma) (For detailed information about ICD-10, see the link: <http://classifications.moh.gov.ge>)
- The diagnosis of invasive malignant tumor disease must be confirmed, including on the basis of histopathological examinations.
- 9.8.** The diagnosis of a malignant cancerous disease, which is a direct complication or malignancy of the disease diagnosed before or during the insurance period, shall not be considered as an insured event.
- 9.9.** Regardless of the number of insured events within the family package, the Insurer pays only a maximum of 100% of the family limit at one time. In the event of insured event, 50% of the family limit is issued to the Parent, and the insurance continues until the sum insured is fully exhausted. In this case, the insurance is canceled only for the person whose insured event the insurance amount (or its part) was issued.
- 9.10.** In the first year of insurance, 50% of the family limits will be paid to any insured person after the waiting period has expired, and from the next year of continuous insurance, the insurance

compensation will be paid in full within the limit of each insured.

10. მხარეთა ვალდებულებები

10.1. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

10.1.1. პოლისის გაფორმებისას შეატყობინოს მზღვეველს ყველა ის გარემოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას დაზღვევაზე ან გააფორმოს იგი შეცვლილი შინაარსით.

10.1.2. ხელშეკრულების გაფორმებისას აცნობოს მზღვეველს რისკის შეფასებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, რომელიც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა.

10.1.3. წარუდგინოს მზღვეველს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია მზღვეველის ვალდებულების საფუძვლის, მოცულობის და ასანაზღაურებელი თანხის დასადგენად.

10.1.4. გადაიხადონ სადაზღვევო პრემია შეთანხმებით/პოლისით დადგენილი ოდენობითა და წესით.

10.1.5. სრულად დაფაროს წლიური პრემია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველის მეორე არ გაიცემა სადაზღვევო თანხა.

10.1.6. დაზღვეულებს მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესახებ და მოიპოვოს მათგან ყველა მათთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის.

10.1.7. ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის.

10.2. დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია:

10.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მის მიერ წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი ყველა ვალდებულების და მზღვეველის მოთხოვნების შესრულების შემდეგ მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ამ შეთანხმებით და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით დადგენილი შემთხვევებში, შეთანხმებით/პოლისით დადგენილი ოდენობითა და წესით.

10.3. მზღვეველი ვალდებულია:

10.3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი ყველა ვალდებულების და მზღვეველის მითითებების შესრულების შემდეგ, დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ანაზღაურების გაცემის თაობაზე ან მოტივირებულადაა უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

10.3.2. დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან/დაზღვეულთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული

10. OBLIGATIONS OF THE PARTIES

10.1. The Policyholder/Insured is obliged to:

10.1.1. at the time of signing the Agreement, notify the Insurer of all the circumstances that may affect the decision of the Insurer to refuse the insurance or sign it with changed content.

10.1.2. at the time of signing the Agreement, inform the Insurer of all the circumstances related to the risk assessment, which he/she knew or should have known.

10.1.3. submit to the Insurer all the documents necessary to determine the basis of the Insurer's liability, the scope and the amount to be remunerated.

10.1.4. pay the insurance premium in the amount and manner established by the Agreement/Policy.

10.1.5. pay the annual premium in full before the insurance indemnity is issued, otherwise the insurer will not issue the remuneration amount.

10.1.6. provide the Insured with information about the terms of the Agreement and to obtain from them all the circumstances known to them, which are of essential importance for the occurrence of the danger or the event covered by the insurance.

10.1.7. when concluding the Agreement, inform the Insurer of all the circumstances known to him/her, which are of essential importance for the occurrence of the danger or the insured event.

10.2. The Policyholder/Insured is entitled to:

10.2.1. upon the occurrence of an insurance event, after fulfilling all the obligations established by this Agreement and the Insurer's requirements, to receive insurance remuneration in the cases established by this Agreement and the insurance policy issued on its basis, in the amount and manner established by the Agreement/Policy.

10.3. The Insurer is obliged to:

10.3.1. upon the occurrence of an insured event, the person authorized to receive remuneration, after fulfilling all the obligations established by this Agreement and the instructions of the Insurer, shall make a decision on the issuance of remuneration or refuse the issuance of insurance remuneration with motivation, no later than 10 (ten) working days after the complete presentation of the documentation.

10.3.2. protect and not disclose the information obtained as a result of business relations with

- ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 10.3.3.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის მოსარგებლის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ ანაზღაურების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.
- 10.4. მზღვეველი უფლებამოსილია:**
- 10.4.1.** არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოსარგებლე ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს. ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას.
- 10.4.2.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევეს/დაზღვეულს ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის მოცულობის დასადგენად.
- 10.4.3.** მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით.
- 10.4.4.** სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს მიმდინარე წლის გამოუმუშავებელი პრემია.
- 11. გამონაკლისები**
- 11.1.** სადაზღვევო თანხა არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს დაზღვევამდე დიაგნოსტირებული აქვს ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება.
- 11.2.** სადაზღვევო თანხა არ იქნება გადახდილი, თუ მისი გადახდის მოთხოვნა გამომდინარეობს ქვემოთ მოცემული რომელიმე დაავადებიდან, რომელიც დიაგნოსტირებული/დადგენილი იქნება დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე ან მოცდის პერიოდში:
- სიმსივნე, კიბო, ლეიკემია, ლიმფომა, კანის პათოლოგიური ცვლილება ან ხალეების ნებისმიერი ფორმა, რომელსაც ახლავს სისხლდენა, ტკივილი, ფერის შეცვლა ან ზომის მომატება.
 - მსხვილი ნაწლავის პოლიპოზი, ნაწლავის ანთება (კრონის დაავადება ან წყლულოვანი კოლიტი), თირკმლის პოლიკისტოზი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებები, აზბესტოზი, B, C, D, E ფორმის ჰეპატიტი, ან ღვიძლის ციროზის რომელიმე ფორმა.
- 11.3.** მზღვეველი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, თუ ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკისთვის საჭირო ღონისძიებები დაწყებულია მოცდის პერიოდის განმავლობაში.
- 11.4.** სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების

the Policyholder/Insured, except for the cases directly provided by the law of Georgia.

- 10.3.3.** in the event of an insured event, in case of a decision to issue an indemnity after the beneficiary has submitted all the necessary documents for the determination of the insured event and the amount of the insurance indemnity, the insurance indemnity shall be issued.
- 10.4. The Insurer is entitled to:**
- 10.4.1.** not to issue insurance indemnity in case of detection of fact of occurrence of insurance accident and/or falsification of documents necessary for receiving indemnity, as well as presentation of false information. And if compensation has already been issued, the beneficiary is obliged to unconditionally return it to the Insurer. In addition, the insurance of each such person is subject to cancellation by the Insurer.
- 10.4.2.** after the occurrence of the insured event, to request from the Policyholder/Insured all information necessary to determine the scope of the insured event.
- 10.4.3.** demand the return of the issued compensation, if it turns out that the occurrence of the loss was not caused by an insured event.
- 10.4.4.** deduct the current year's unearned premium from the insurance compensation.
- 11. EXCEPTIONS**
- 11.1.** The insurance amount is not issued if the Insured has been diagnosed with a malignant tumor disease before the insurance.
- 11.2.** The insured indemnity will not be paid if the claim for its payment is based on any of the following diseases, which are diagnosed/established before the date of signing the insurance Agreement or during the waiting period:
- Tumor, cancer, leukemia, lymphoma, pathological skin change or any form of mole accompanied by bleeding, pain, discoloration or increase in size.
 - Colonic polyposis, intestinal inflammation (Crohn's disease or ulcerative colitis), polycystic kidney disease, benign breast disease, asbestosis, hepatitis B, C, D, E, any form of liver cirrhosis.
- 11.3.** The Insurer will not be obliged to pay the insurance indemnity if the measures necessary for the diagnosis of malignant tumor disease are started during the waiting period.
- 11.4.** The diagnosis of a malignant tumor disease, which is a direct complication or malignancy of the

დიაგნოსტიკა, რომელიც წარმოადგენს დაზღვევამდე ან მოცდის პერიოდში დიაგნოსტიკური დაავადების პირდაპირ გართულებას ან მის მალიგნიზაციას.

11.5. მზღვეველი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, არაინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკისას. წინამდებარე პირობების თანახმად შემდეგი არ ჩაითვლება ინვაზიურ ავთვისებიანი სიმსივნურ დაავადებად:

- არაინვაზიური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება, პრენეოპლასტიკური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება, დისპლაზია და ყველა კიბოსწინარე მდგომარეობები;
- პროსტატის კიბო, თუ მას არა აქვს მიღწეული TNM კლასიფიკაციის T2N0M0 სტადია;
- კანის ნებისმიერი პირველადი ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება (C44 კოდი ICD-10-ის მიხედვით-კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები), გარდა ავთვისებიანი მელანომისა, რომელიც სცილდება ეპიდერმის (IA-ზე მაღალი სტადია);
- ფარისებრი ჯირკვლის პაპილარული კიბო, რომელიც ლოკალიზებულია ერთ ორგანოში;
- ნებისმიერი სიმსივნე და ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება აივ ინფექციის არსებობისას.

11.6. სადაზღვევო თანხა არ გაიცემა:

- სადაზღვევო თანხის ამოწურვის შემდეგ.
- როცა დაზღვეული უარს აცხადებს იმ ექიმისა და მედიკოსთა გუნდის კონფიდენციალურობის ვალდებულებიდან გათავისუფლებაზე, რომლებმაც დასვეს დიაგნოზი, რაც ხელს უშლის მზღვეველს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაში;

11.7. მზღვეველის ნებისმიერი ვალდებულება გამოირიცხება დაზღვეულის და/ან დამზღვევის მხრიდან არასწორი ინფორმაციის მიწოდების, თაღლითობის ან არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელების შემთხვევაში.

11.8. მზღვეველი აღარ იქნება ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ახალი პოლისით და/ან პოლისის დანართით წინა პოლისის ამოწურვის შემდეგ, თუ გადახდა უკვე განხორციელებული იყო წინა პოლისით და/ან პოლისის დანართით.

11.9. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა დაზღვეულის/ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.

12. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

12.1. დაზღვეული სადაზღვევო პერიოდში დიაგნოსტიკური ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების შემთხვევაში, დიაგნოსტიკიდან რაც შეიძლება მოკლე ვადაში (გამომდინარე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან) მზღვეველის სერვის ცენტრში წარადგენს ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადს, დაზღვევის პოლისს და დიაგნოზის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (მათ შორის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების პასუხები, სამედიცინო ისტორია, სამედიცინო ფორმა #100).

disease diagnosed before or during the insurance period, shall not be considered as an insured event.

11.5. The Insurer will not be obliged to pay the insurance amount, upon diagnosis of non-invasive malignant tumor disease. The following shall not be considered invasive malignant neoplasm under these conditions:

- Non-invasive malignant tumor disease, preinvasive malignant tumor disease, dysplasia and all pre-cancerous conditions;
- Prostate cancer, if it has not reached TNM classification stage T2N0M0;
- any primary malignant neoplastic disease of the skin (code C44 according to ICD-10 - other malignant tumors of the skin), except for malignant melanoma that extends beyond the epidermis (stage higher than IA);
- Papillary thyroid cancer localized in one organ;
- Any tumor and malignant tumor disease in the presence of HIV infection.

11.6. The insurance indemnity is not issued:

- After the insurance amount is exhausted.
- When the insured refuses to release from the obligation of confidentiality the doctor and the medical team who made the diagnosis, which prevents the Insurer from collecting the necessary information;

11.7. Any liability of the Insurer shall be excluded in the event of misrepresentation, fraud or dishonest action on the part of the Policyholder and/or the Insured.

11.8. The Insurer shall no longer be obliged to pay the insurance indemnity under the new policy and/or policy addendum after the expiration of the previous policy, if the payment was already made under the previous policy and/or policy addendum.

11.9. The insurance policy is not issued in case of violation of any obligation defined by the Agreement/Policy by the Policyholder/Insured entitled to remuneration.

12. ACTION IN THE EVENT OF AN INSURED EVENT

12.1. In case of a malignant tumor disease diagnosed during the insurance period, the Insured shall submit to the Insurer's service center an application for indemnity, an insurance policy and documentation confirming the diagnosis (including answers to histopathological examinations, medical history, medical form #100) as soon as possible after the diagnosis (due to his/her health condition).

12.2. ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების საბოლოო დიაგნოზი, დადასტურებული მკურნალი ექიმამიერ, უნდა შეესაბამებოდეს სადაზღვევო შემთხვევის განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში.

12.3. დაზღვეული წარადგენს სრულ სამედიცინო ჩანაწერებს, საიდანაც მზღვეველის ვალდებულება დადგინდება მტკიცებულებებით, რადიოლოგიური, ჰისტოპათოლოგიური, ლაბორატორიული, კლინიკური და სხვა შედეგების ჩათვლით.

12.4. ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები არ გადაეცემა მესამე პირს. მხოლოდ დაზღვეულს შეუძლია სადაზღვევო თანხის ან მისი რომელიმე ნაწილის მიღება. თუ დაზღვეული არ არის ქმედუნარიანი, თანხა გადაეცემა მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა დაზღვევის პერიოდში და გაცხადებული იქნა ვიდრე დაზღვეული იყო ცოცხალი, მაგრამ მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული მის გარდაცვალებამდე, მაშინ სადაზღვევო თანხა ან მისი ნაწილი, რომელიც უნდა მიეღო დაზღვეულს წინამდებარე პირობების თანახმად, გადახდილი იქნება პოლისში დადგენილი მოსარგებლისთვის ან გარდაცვლილის მემკვიდრეებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5. მეორე აზრის მოძიების მომსახურების მისაღებად დაზღვეული სამუშაო საათებში უკავშირდება სერვისის მომწოდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია "მედიგაიდის" წარმომადგენელს საქართველოში - კლინიკა კურაციოს, სპეციალურ ნომერზე: 032 2 431010, სადაც აკეთებს განაცხადს მომსახურების საჭიროების შესახებ. კლინიკა კურაციო დაზღვეულს დაუკავშირდება 1 სამუშაო დღის ვადაში. საჭირო სამედიცინო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, კურაციოს ექიმი მედიგაიდის დახმარებით უზრუნველყოფს მსოფლიოს წამყვანი სამი კლინიკის მოძიებას, საიდანაც დაზღვეული თავად ირჩევს მომსახურების გამწვევ სასურველ კლინიკას. მომსახურებასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია დაზღვეულმა კლინიკას უნდა მიაწოდოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. კლინიკა კურაციო უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის მეორე აზრის მოძიების პირობებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებას შემთხვევის გაცხადებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

13.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისის მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული

12.2. The final diagnosis of malignant tumor disease, confirmed by the treating physician, must correspond to the definition of the insurance event, which is given in the Agreement.

12.3. The Insured shall submit complete medical records from which the Insurer's liability shall be established by evidence, including radiological, histopathological, laboratory, clinical and other results.

12.4. The rights established by the agreement are not transferred to a third party. Only the Insured can receive the insurance amount or any part of it. If the Insured is incapacitated, the amount will be transferred to his/her legal representative. If the insured event occurred during the insurance period and was declared while the Insured was alive, but the claim was not satisfied before his/her death, then the insurance amount or its part, which should have been received by the Insured under the present conditions, will be paid to the beneficiary specified in the Policy or to the heirs of the deceased in the manner prescribed by law.

12.5. In order to receive a second opinion service, during working hours, the insured person contacts the representative of the international organization "Mediguide" in Georgia - Clinic Curatio, at the special number: 032 2 431010, where he/she makes an application about the need for the service. The Clinic Curatio will contact the Insured within 1 working day. After collecting the necessary medical information, Curatio's doctor, with the help of Mediguide, provides the search for the world's three leading clinics, from which the Insured chooses the desired clinic that provides the service. The Insured must provide the medical documentation related to the service to the clinic in Georgian or English. The Curatio Clinic provides services defined by the terms of seeking a second opinion to the Insured within 15 (fifteen) days after the event is announced.

13. DISPUTE RESOLUTION

13.1. The parties shall use their best efforts to amicably resolve all disagreements and disputes arising between them in relation to the Agreement or other matters related thereto.

13.2. In case of disputes/disagreements related to the execution of the Agreement, in order to end it by mutual agreement/settlement, the parties, as well as the Insured and the Beneficiary, contact the "Insurance Mediation" mediator of the "Association of Insurance Companies of Georgia" through the telephone line at the number: 2555155, or at the address: Tbilisi Mosashvili Street 24, or to the e-mail address: mediacia@insurance.org.ge. The general expenses related to the "Insurance

ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.

13.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

14.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ): სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.); გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

14.4. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

14.5. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო

Mediation" process of the "Association of Insurance Companies of Georgia" are financed from the membership revenues of the "Association of Insurance Companies of Georgia".

13.3. If within 30 (thirty) days from the beginning of such negotiations, the parties are unable to resolve the disputed issues by agreement, any party may apply to the court in order to resolve the dispute according to the established rules. Based on the fact that the location of the Insurer is considered the place of performance of the Agreement by the parties, the dispute will be considered in the general court based on its location.

14. FORCE MAJEURE

